# ხვალ მუშაობას შეუდგება საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობა

□□

**საბჭოთა ახალგაზრდობა უნდა იყოს არა მარტო ყოველმხრივ განათლებული, არამედ, აგრეთვე სულიერად ლამაზი, ჯანსაღი, გამოწრთობილი, ჯანმაგარი.**

□□


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 63 (7124)

1 1982 წ. აპრილი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან





**ჩემო თაობავ,**
**დროშები ზევით!**
**მიჰყევ ცეცხლოვან**
**დღეების გრიალს!**
**მშვიდობის გზებით,**
**შენების გზებით —**
**წინ კომკავშირო,**
**ნაბიჯით იარ!**

## ყოველმხრივ გამოწრთობილი...

ეს დღეები განსაკუთრებულია ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის ისტორიაში.

საქართველოს კომკავშირი თავის XXXII ყრილობაზე იკრიბება.

ოთხი წელიწადი — ყრილობიდან ყრილობამდე გავლილი დრო. ეს არის გმირული შრომისა და თავდადების, ვაჟკაცური შემართებისა და ახალ, შთამბეჭდავ გამარჯვებათა წლები. კომკავშირი მუდამ იქ იდგა და დგას, სადაც მნიშვნელოვანი საქმეები წყდება, სახიკეთო თაოსნობა იბადება და ახალ წარმატებებს ეყრება საფუძველი.

დიახ, ბევრია გაკეთებული, მაგრამ უფრო მეტი — გასაკეთებელი. ჩვენი ქალიშვილებისა და ჭაბუკების ამჟამინდელი თაყრილობის ლაიტმოტივი სწორედ ეს გახლავთ: რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის მიერ ამ ოთხწლეულში გაწეული მუშაობის შეჯამება-შეფასება და, რაც მთავარია, სამომავლო გეგმების დასახვა. ეს გეგმები კი, რასაკვირველია, უპირველესად და მთლიანად უკავშირდება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიზანდასახულებათა შესრულებას.

ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ზრდა, საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება — აი, კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის საგანი. იმ კომპლექსურ ღონისძიებათა შორის, რომლებიც მოსახლეობის კულტურული გართობა-დასვენებისა და ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის ხორციელდება, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას. ამის თვალნათლივი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის დადგენილება „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი განვითარების შესახებ“.

საყოველთაოდ ცნობილია: კომკავშირულ და ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას ბევრი რამ აქვთ საერთო. ერთიც და მეორეც ძლიერების, მარადიული სიჭაბუკის, მიზანსწრაფვის სიმბოლოა. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის ზრუნვა იმთავითვე იქცა ლენინური კომკავშირის ღვიძლ საქმედ და ერთბაშად შეუძლებელიცაა თუნდაც ქრონოლოგიური ჩამოთვლა ამ მიმართულებით ჩატარებული პრაქტიკული ღონისძიებებისა, რომელთა მოთავედ და სულისჩამდგმელადაც კომკავშირი მოგვევლინა. სწორედ კომკავშირმა წამოიწყო და ჩვენი ახალგაზრდობის სპორტულ ცხოვრებაში დაამკვიდრა ისეთი პოპულარული და მასობრივი შეჯიბრებები, როგორიცაა „იმედის სტარტები“, „ტყავის ბურთი“, „თეთრი ეტლი“, მზთ კომპლექსის მრავალჭიდი და მრავალი სხვა.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაც მჭიდროდ არის დაკავშირებული რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებასთან. კომკავშირის ინიციატივით თბილისში და სხვა ქალაქებში გაიხსნა ათეულობით სპორტული კლუბი, გაიმართა არაერთი მასობრივი სპორტული ღონისძიება, საფუძველი ჩაეყარა სპორტული ბაზების მშენებლობას. სამაგალითოდ თუნდაც მესტიელ კომკავშირელთა საქმეებიც კმარა, რომლებმაც მოკლე დროში უსასყიდლოდ ააშენეს რამდენიმე სპორტული კომპლექსი და იქ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაჩაღებისთვისაც იზრუნეს.

კომკავშირისა და სპორტის ურთიერთკავშირის დასტურია ისიც, რომ საქართველოს ახალგაზრდობის დიდი ფორუმის დელეგატთა შორის არიან ჩვენი სახელგანთქმული სპორტსმენები — მაია ჩიბურდანიძე, ლიანა ცოტაძე, თამაზ იმნაიშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, დავით ყიფიანი, ნიკოლოზ დეროუგინი...

„საბჭოთა ახალგაზრდობა უნდა იყოს არა მარტო ყოველმხრივ განათლებული, არამედ, აგრეთვე სულიერად ლამაზი, ჯანსაღი, გამოწრთობილი, ჯანმაგარი“ — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზემოხსენებულ დადგენილებაში. ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი კომკავშირულ ორგანიზაციებს ავალებს „მიაღწიონ, რომ თითოეული პიონერი, კომკავშირელი, ახალგაზრდა იყოს მზთ ნიშნოსანი, რეგულარულად მისდევდეს ფიზიკურ კულტურას, სპორტს, ტურიზმს. მიზანდასახულად ჩამოუყალიბონ ჯანსაღი ინტერესები მოზარდ თაობას, შეუპოვრად ებრძოლონ თამბაქოს წევას, ლოთობას და სხვა მავნე ჩვეულებებსა და მიდრეკილებებს, თანმიმდევრულად ჩამოუყალიბონ ახალგაზრდებს ფიზიკური და ზნეობრივი სრულყოფის მოთხოვნილება, გამოუმუშავონ მტკიცე ნებისყოფა, ვაჟკაცობა და ამტანობა, მზადყოფნა შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის“. იქვე ნათქვამია, რომ „კომკავშირული და პიონერული მუშაკები, აქტივისტები მოწოდებულნი არიან აჩვენებდნენ პირად მაგალითს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობით. იყვნენ მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის მარჯვე ორგანიზატორები“.

როგორც ხედავთ, დადგენილებაში ნათლად არის ჩამოყალიბებული კომკავშირის ამოცანები, მისი როლი ფიზკულტურასა და სპორტის განვითარების საქმეში. საქართველოს კომკავშირმა იცის რა მოეთხოვება, სამომავლოდ რისი გაკეთებაა საჭირო; იგი ყოველთვის იყო და იქნება ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების შუაგულში, როგორც მისი გაუმჯობესებისთვის მზრუნველი და ერთ-ერთი ალამდარი.

...განსაკუთრებული დღეები დაუდგა ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობას — საქართველოს კომკავშირი თავის XXXII ყრილობაზე იკრიბება.

**ჭაბუკებო და ქალიშვილებო, ძვირფასო თბილისელებო!**



**გეპატიჟებით პარკებსა და ბაღებში, სპორტულ მოედნებზე, სტადიონებზე, ბუნების წიაღში.**

## მოვაწყოთ 4 აპრილს მასობრივი ფიზკულტურის, ჯანმრთელობის დღესასწაული!



იხ. მე-2 გვ.

1 აპრილი, 1982 წ.

ლელო

მე-2 გვ.

# მოვაწყოთ 4 აპრილს მასობრივი ფიზკულტურის, ჯანმრთელობის დღესასწაული!

**უკანასკნელ** წლებში მრავალ შესანიშნავ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი ჩვენს რესპუბლიკაში. გავიხსენოთ თუნდაც ისეთი სახალხო დღესასწაულები, როგორიცაა „ინტერნაციონალური მეგობრობის დღესასწაული“, „მეგობრობის ზეიმი“, „თბილისობა“...

„ალბათ ახლა ძნელია ნახო თბილისელი, რომელსაც თბილისური შემოდგომა „უთბილისობოდ“ წარმოედგინოს. ასეთი დღესასწაულები მომრავლდა და ეს კარგია“. — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ და მართლაც, ძნელია წარმოიდგინო დღეს ჩვენი სინამდვილე შრომის, მეგობრობის, ძმობის ამ მშვენიერი ფესტივალის და სხვა დღესასწაულების გარეშე, რამეთუ გამრჯე ადამიანისთვის ლხინი და შინაარსიანი დასვენება, კარგი სანახაობაც უპრიანია.

...დღესასწაული, ვამბობთ ჩვენ და უკვე ვიცით, რომ ამ დღეს რაღაც არაჩვეულებრივი, „სასწაულებრივი“ რამ უნდა მოხდეს. სასწაულები ჩვენს ხალხს, ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდობას არაერთგზის მოუხდენია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციიდან მოყოლებული დღემდე.

**და კიდევ ერთი ასეთი არაჩვეულებრივი ზეიმი უნდა მოვაწყოთ თბილისელებმა: 4 აპრილს მასობრივი ფიზკულტურის, ჯანმრთელობის დღესასწაული!**

სად და როგორ? იკითხავენ ალბათ თბილისელები, დედაქალაქის სტუმრები.

**გეპატიჟებით პარკებსა და ბაღებში, სპორტულ მოედნებზე, სტადიონებზე, ბუნების წიაღში, სადაც თქვენთან ერთად იქნებიან სახელმოხვეჭილი სპორტსმენები, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტები, გამოცდილი ექიმები, რომლებიც შესაბამის კონსულტაციას, რჩევა-დარიგებებს მოგცემენ.**

რა თქმა უნდა, ყველაფერი ზუსტი გრაფიკით, მისამართით, პროგრამით ჩატარდება (**ამის შესახებ ქვემოთ წაიკითხავთ**), მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ: დღესასწაული და მით უფრო ფიზკულტურის, ჯანმრთელობის დღე არ ჩატარდება თქვენი აქტიური მონაწილეობის გარეშე. ძვირფასო მეგობრებო! მხოლოდ **თქვენი უშუალო თანადგომით, მხარდაჭერით და კონკრეტული მონაწილეობით შევძლებთ გადავაქციოთ 4 აპრილის ზეიმი ჭეშმარიტად მასობრივი ფიზკულტურის, ჯანმრთელობის დღესასწაულად!**

და თუ ეს ასე მოხდება, მაშინ ვიტყვით, რომ გადავდგით მტკიცე ნაბიჯი საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXVIII კონფერენციაზე წამოყენებული მოთხოვნის — „გადავაქციოთ თბილისი მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის ქალაქად!“ — გადასაჭრელად.

და თუ ყველა თბილისელი გულთან ახლოს მიიტანს ამ ახალ წამოწყებას, თვითონვე გახდება ამ დღესასწაულის მთავარი მოქმედი პირი, მაშინ ვიტყვით: ჩვენს დედაქალაქში კიდევ ერთი სასიკეთო საქმე გაკეთდა — საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ შესანიშნავ ტრადიციას.

**მაშ მოდით, ყველამ ერთად მოვაწყოთ 4 აპრილს მასობრივი ფიზკულტურის, ჯანმრთელობის დღესასწაული!**







## გეპატიჟებით პარკებსა და ბაღებში, სპორტულ მოედნებზე, სტადიონებზე, ბუნების წიაღში

**ი. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში** (შეფი სპორტსაზოგადოება „სპარტაკი“) მოეწყობა:

მასობრივი კროსი (11 საათიდან),

ტურისტული ლაშქრობა ფუნიკულორის ქვედა პლატოსთან (11,30),

მასობრივი შეჯიბრება ლახტში (12),

ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში (12),

მასობრივი შეჯიბრება სამთვლიანი ველოსიპედებით (12,30),

შეჯიბრებები სიმძიმეების აწევაში (13), ბაგირის გადაძალვაში (13,30), ქართულ ჭიდაობაში (14,30).

**ოქროყანის სტადიონზე** („სპარტაკი“):

მასობრივი კროსი (11),

ღია პირველობა მინი-ფეხბურთში (12).

**დიღმის მასივის ტყეპარკში** (პროფკავშირების სპორტსაზოგადოება):

მასობრივი ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში (11,30),

მასობრივი ტურნირი ჭადრაკსა და შაშში (11,30),

მასობრივი მძლეოსნური კროსი (12).

**„ლოკომოტივის“ სტადიონზე** („ლოკომოტივი“):

მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება (10,30),

ჯანმრთელობის ზონის საზეიმო გახსნა (11),

მასობრივი მძლეოსნური კროსი (12),

ჯანმრთელობის და კლუბ „კუს“ სააგიტაციო გარბენი (13),

ტურისტული ლაშქრობა (13,30).

**თბილისის ზღვის ტერიტორიაზე** („შრომითი რეზერვები“):

შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში (12),

ღია პირველობა ფრენბურთში (12),

ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში (12),

მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება (12),

შეჯიბრებები ბაგირის გადაძალვაში (12), ჭადრაკსა და შაშში (12), სიმძიმეების აწევაში (12,30), ტომრებით სირბილში (12,30),

აკრობატთა საჩვენებელი გამოსვლები (12,30),

მასობრივი მძლეოსნური კროსი (12,40),

შეჯიბრებები ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში (13), ბირთვის კვრაში (13),

ღია პირველობა კალათბურთში (14).

**პარტიზანების სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, ლისის ტბის ტერიტორიაზე** („დინამო“):

მასობრივი მძლეოსნური კროსი (10,30),

ამხანაგური შეხვედრები ფეხბურთში (10,30),

მშთ კომპლექსის მრავალჭიდის პროგრამით შეჯიბრება ხელყუმბარის ტყორცნაში (10,30)).

**კუს ტბის ტერიტორიაზე** („ბურევესტნიკი“):

ტურისტული ლაშქრობა ფუნიკულორის პლატოდან კუს ტბამდე (9),

ჯანმრთელობის ზონის საზეიმო გახსნა (11),

ნავებით ტბაზე სეირნობა (11),

მშთ კომპლექსის პროგრამით მძლეოსნური კროსი (11,30),

შეჯიბრებები სიმძიმეების აწევაში (12),

ჭადრაკში (12),

ღია პირველობა ქართულ ჭიდაობაში (12).

**თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე** („კოლმეურნე“):

მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება (11),

ველორბოლა 5 კილომეტრზე (12),

მძლეოსნური კროსი (13),

ცხენოსნობა — საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის სახელობის თასის გათამაშება (14),

შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში (14),

ცხენოსნობა — რბოლა დაბრკოლებებით (15).

**ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში** („განთიადი“):

მასობრივი შეჯიბრებები მინი-ფეხბურთში (11),

შეჯიბრება ჭადრაკსა და შაშში (12),

ჯანმრთელობის ზონის საზეიმო გახსნა (13),

მასობრივი შეჯიბრება ბაგირით გადაძალვაში და სიმძიმეების აწევაში (14),

რბოლა სამთვლიანი ველოსიპედებით (14),

მასობრივი მძლეოსნური კროსი (15),

ლექცია-საუბრები ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობაზე (16).







# ლაპარაკობენ საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის დელეგატები

## ა. ჩივაძე: „არ გავაწბილოთ ჩვენი ქომაგები!“



**საბჭოთა** კავშირის ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ კაპიტნის, სპორტის დამსახურებული ოსტატის **ალექსანდრე ჩივაძის** წარდგენა ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს, ვფიქრობთ, არ სჭირდებათ. დავუმატებთ მხოლოდ, რომ იგი საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის დელეგატია.

ა. ჩივაძეს შევხვდით ოდესიდან ახლად დაბრუნებულს და რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ:

● **ახალი ჩემპიონატის სტარტზე ორ გასვლით მატჩში ორი ქულის აღება ურიგო არ უნდა იყოს, მაგრამ კიეველ თანაკლუბელებთან თამაშის ხაცავეები რატომღაც მთლიანად მეტოქეს ეპყრა...**

— თქმა იმისა, რომ ეს წაგება მეტოქის მინდორზე თამაშმა განაპირობა, არ იქნება მართებული, ვინაიდან თბილისის „დინამო“ ახლა ისეთი კლასის გუნდია, რომლისთვისაც „სხვის კედლებს“ პრაქტიკულად მნიშვნელობა არა აქვს. მარცხი უფრო იმან განაპირობა, რომ ჩვენი მეტოქე ამ შეხვედრისთვის უფრო მობილიზებული და ფსიქოლოგიურად უკეთ მომზადებული აღმოჩნდა.

● **წლეულს თბილისის დინამოელებს ოთხ ფრონტზე მოუწევთ ბრძოლა, რას იტყვით ამაზე?**

— კიეველებთან დამარცხებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მეტი პასუხისმგებლობა გვმართებს, მით უმეტეს, რომ გუნდს ორი ნახევარფინალური შეხვედრა ელის. 29 აპრილს კიევში საშუალება გვექნება რევანშზე ვიფიქროთ, რაც შეეხება მატჩს ბელგიის „სტანდარდთან“, ალბათ, ეს იქნება ერთ-ერთი უძნელესი იმ მატჩებიდან, რაც კი „დინამოს“ ჰქონია. ბელგიის ამ საკლუბო გუნდში ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ნაკრები გუნდების ფეხბურთელები თამაშობენ. მიუხედავად ამისა, ყოველ ღონეს ვიხმართ ფინალში გასასვლელად. ვეცდებით ევროპის თასების მფლობელთა თასს დღევანდელი ადგილსამყოფელი არ შეეცვალოს. ცხადია, თავის შერცხვენას არც საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე ვაპირებთ.

● **რადგან სიტყვა მსოფლიო ჩემპიონატზე ჩამოვარდა, გვითხარით ვინ მიგაჩნიათ ესპანეთის ტურნირის მთავარ ფავორიტებად და როგორია საბჭოთა ნაკრების შანსები?**

— პირველ რიგში უნდა დავასახელო ბრაზილიის, არგენტინისა და გფრ-ის გუნდები. თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ სხვები მაყურებლის როლში გამოვლენ. რაც შეეხება ჩვენს ნაკრებს, დღეს აქ ბევრი მაღალი კლასისა და საიმედო ფეხბურთელია. ბევრი რამაა დამოკიდებული თვით ნაკრების კანდიდატთა ინდივიდუალურ მომზადებაზე.

● **დიდ სპორტში თქვენ, ასე ვთქვათ, „ქუჩის ფეხბურთიდან“ მოხვედით, მონაწილეობდით „ტყავის ბურთის“ სხვადასხვა შეჯიბრებაში. რა პრობლემებია ნორჩ ფეხბურთელთა დაოსტატების საქმეში?**

— ფეხბურთის ანბანი ქუჩის „სტადიონზე“ ვისწავლე, თანატოლებთან ერთად გვიან ღამემდე დავდევდი ბურთს. ამ „საფეხბურთო უნივერსიტეტების“ ფასი მაშინ შევიგრძენი, როცა დიდ სპორტში შევდგი ფეხი. სამწუხაროდ, დღევანდელ მოზარდებს ამგვარი დაოსტატებისთვის ახლა ნაკლები საშუალება აქვთ, რადგან ქუჩებსა და ეზოებში მომრავლდა ავტომანქანების გარაჟების რიცხვი. მშობელთა დიდი ნაწილი დღეს „ოთხთვალაზე“ უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე შვილების ფიზიკურ წრთობაზე. ალბათ, ვერც პატარებთან მომუშავე ზოგიერთი მწვრთნელის საქმიანობას გავამართლებთ — ისინი ხშირ შემთხვევაში თავიანთი გუნდების ქულებსა და ადგილებზე ზრუნავენ, ვიდრე ნორჩების სპორტულ დაოსტატებაზე. ბავშვებს კარგი ზედამხედველი სჭირდება, სხვანაირად ვერც დიდი ტალანტის მქონენი გაიზრდებიან კარგ ფეხბურთელებად. მოზარდი აღმზრდელმა უნდა შეაჩვიოს გარჯას, ჩაუნერგოს მას შრომის სიყვარული. დამწყები ფეხბურთელებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია საფეხბურთო მატჩების ხილვა მსოფლიო ვარსკვლავთა მონაწილეობით. ამის საშუალება კი იშვიათად ეძლევათ.

● **პირადად თქვენთვის ფეხბურთის თამაში შრომაა თუ სიამოვნება?**

— მათი ერთმანეთისაგან დაშორება შეუძლებელია. ფეხბურთი ბევრ ჯაფასა და ოფლის ღვრას მოითხოვს, მაგრამ ამ გარჯის შედეგად მოპოვებული გამარჯვება მართლაც უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს.

● **ხვალ მუშაობას იწყებს საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობა. რას გვეტყვით როგორც ჩვენი ქვეყნის ნაკრების კომორგი, საქართველოს ახალგაზრდობის ამ დიდი ფორუმის მონაწილე?**

— კომკავშირული ასაკი ყველაზე რთული და დაუვიწყარი პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში. ძირითადად ამ დროს ხდება მისი ხასიათის, გემოვნების და, საერთოდ, პიროვნების ჩამოყალიბება. ალბათ სწორედ ამ ასაკში ახარებთ ყველაზე მეტად თავიანთი შრომის დაფასება. მართალი გითხრათ, საქართველოს კომკავშირის ყრილობის დელეგატად არჩევა ორმაგად მახარებს, რადგან იგი დიდი ნდობის გამოხატულება და ჩვენი კოლექტივის გარჯის დაფასებაა, რაც მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს ჩვენგან. ვეცდებით დიდი საფეხბურთო ბატალიების წელს განსაკუთრებით ლამაზი თამაში ვაჩვენოთ და ქართული ფეხბურთის ქომაგნი არ გავაწბილოთ.

საუბარი ჩაიწერა
ვ. დანელიამ.

□ □

## ლ. ცოტაძე: „მთავარია შრომა და გულდადება“



**თბილისელმა** წყალში მხტომელმა **ლიანა ცოტაძემ** ორჯერ მოიპოვა საკავშირო თასი, გახდა ჩვენი ქვეყნის სამგზის ჩემპიონი, გაიმარჯვა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე. და ბოლოს, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების „ბრინჯაოს“ დაეუფლა.

— ოლიმპიური თამაშების შემდეგ კვლავ ინტენსიურად ვვარჯიშობდი, მაგრამ დავშავდი და ტრავმამ ხელი შემიშალა შეჯიბრებებისთვის მზადებაში, — ამბობს ლ. ცოტაძე. — მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ ჩემთვის ყველაზე ღირსსახსოვარი მოვლენა ის იყო, რომ საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის დელეგატად ამირჩიეს.

— **ყრილობაზე, იმედია, ფიზკულტურასა და სპორტზეც იქნება საუბარი. თქვენი აზრით, დღეს რომელი პრობლემის გადაჭრა არ ითმენს დაყოვნებას?**

— ვფიქრობ, უპირველესია ცურვის მასობრივად შესწავლა. ამის თაობაზე საკმაოდ იწერება, სხვადასხვა ინსტანციებს ბევრი დადგენილება გამოაქვს, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში ცურვის მასობრივად შესწავლის საქმე მაინც ჩამორჩება. კარგი იქნება, თუ მშენებლები საცხოვრებელ კვარტლებში საჭყუმპალაოებს ააშენებენ — ბავშვები იქ დამოუკიდებლადაც ისწავლიან ცურვას. ალბათ, გინახავთ თბილისში, ფილარმონიის წინ მოწყობილ დეკორატიულ აუზში ზაფხულის გაგანია სიცხეში როგორ ჭყუმპალაობენ ბავშვები — ისინი შეუმჩნევლად სწავლობენ ცურვას.

— **ამ ბოლო დროს სპორტის „თქვენი“ სახეობა ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვან აღმავლობას განიცდის. უფრო მეტი წარმატებების მოსაპოვებლად რა არის საჭირო?**

— უწინარეს ყოვლისა — ბაზები. ყველა რაიონს თითო აუზი მაინც უნდა ჰქონდეს წყალში სახტომი ტრამპლინებითა და კოშკებით გაწყობილი, მაშინ ეს სახეობა მასობრივი გახდებოდა. ახლა თბილისში მხოლოდ ვაკეში, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში შეიძლება ზამთარ-ზაფხულ ვარჯიში.

— **რას ურჩევდით ახალბედა წყალში მხტომელებს?**

— ღაუღალავ შრომას, შრომას და გულდადებას...

საუბარი ჩაიწერა
ა. რაჟველიშვილმა.

□ □

## ნ. დერიუგინი: „ოპტიმისტური განწყობილებით“



**ნიკოლოზ დერიუგინი,** რომ იტყვიან, მეტეორივით შემოიჭრა დიდ კალათბურთში. საუცხოო ფიზიკური მონაცემები, ვარჯიშისადმი სერიოზული დამოკიდებულება, შრომისმოყვარეობა, მტკიცე ხასიათი... ერთი სიტყვით, ეს ჭაბუკი უხვად იყო დაჯილდოებული იმ თვისებებით, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მაღალ სპორტულ სიმაღლეებზე ფიქრი.

ქუთაისი. აქედან იღებს სათავეს დერიუგინის სპორტული გზა. სულიკო თორთლაძისთვის ალღოს არასოდეს უღალატია — ამ ბიჭისგან დიდი კალათბურთელი დადგებაო და აკი გაუმართლდა წინასწარმეტყველება.

ნიკოლოზ დერიუგინს კარგად იცნობენ კალათბურთის ქართველი გულშემატკივრები, იცნობენ ჩვენს ქვეყანაში, საზღვარგარეთაც. მის სპორტულ ბიოგრაფიას არაერთი სასახელო გამარჯვება ამშვენებს. თბილისის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელს დიდი ნდობა გამოუცხადეს — საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

— მე ჩვენი კომკავშირის წინა ყრილობის დელეგატთა შორისაც ვიყავი და კარგად მახსოვს ის დღეები. ყრილობა მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ახალგაზრდობის ცხოვრებაში. აზრთა ურთიერთგაზიარება, პირუთვნელი საუბარი, გულახდილი დიალოგები... ყველაფერი ეს ხელს უწყობს თანატოლთა დაახლოებას, გვრაზმავს ახალ ამოცანათა შესასრულებლად. მოგეხსენებათ, ჩვენს გუნდს წლევანდელ ჩემპიონატში გაუჭირდა და ახლა უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის ვიბრძვით. დარწმუნებული ვარ, თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრები კვლავ იხილავენ უძლიერესთა შორის. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის ატმოსფერო, რაც ახლა გუნდშია შექმნილი. მე და ჩემი თანაგუნდელები ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქართულ კალათბურთს დავუბრუნოთ ძველი სახელი. რა თქმა უნდა, ეს ადვილი საქმე არ არის, მაგრამ სხვა გზაც არ არსებობს.

ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ რესპუბლიკის პარტიული ორგანოების, სპორტკომიტეტის, კომკავშირის, გულშემატკივართა მხარდაჭერას. ადრე თუ სავარჯიშო პირობებს ვუჩიოდით, ახლა მშვენიერი საწვრთნელი ბაზა აგვიშენეს, რომელიც ჩემი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოა საკავშირო მასშტაბით. რასაკვირველია, მარტო ბაზა საკმარისი არ არის. ჩვენს კალათბურთს ბევრი პრობლემა აწუხებს და ეს ჩემზე უკეთ იციან ხელმძღვანელებმა, კალათბურთის სპეციალისტებმა.

ბოლოს ისევ ზემოთქმულს გავიმეორებ: მინდა დავარწმუნო თბილისის „დინამოს“ თაყვანისმცემლები, რომ ჩვენი გუნდის თითოეული წევრი მზად არის დასახული ამოცანის გადასაჭრელად.

ზ. გალდავა.

□ □

## თ. იმნაიშვილი: „კომკავშირელს ბევრი რამ შეუძლია“



**საქართველოს** სხვა სახელოვან სპორტსმენებთან ერთად საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის დელეგატად არჩეულია ცნობილი მესტენდურე, სპორტის დამსახურებული ოსტატი **თამაზ იმნაიშვილი,** რომელმაც შარშანდელ სეზონში მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებები მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლით დააგვირგვინა.

თამაზს წლეულს არანაკლებ საპასუხისმგებლო ასპარეზობანი ელის. გარდა ამისა იგი საკანდიდატო მინიმუმის დასაცავად ემზადება და მაინც, ინტენსიურ წვრთნასთან ერთად აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში. მას ამ დღეებში შევხვდით და ერთადერთი კითხვით მივმართეთ:

**რას იტყოდით საქართველოს კომკავშირის ყრილობის ტრიბუნიდან, თქვენთვის რომ დაეთმოთ იგი?**

— პირველ რიგში, რა თქმა უნდა, რესპუბლიკაში სასტენდო სროლის პრობლემებზე ვილაპარაკებდი. ვიტყოდი, რომ ამ საინტერესო სახეობის აღმავლობისთვის ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ზრუნავს არა მარტო „მონკავშირი“, რომელიც პირველ რიგში ამ სამონადირეო სპორტის განვითარებისთვისაა მოწოდებული, არამედ სპორტსაზოგადოებებიც. მხოლოდ „ლოკომოტივსა“ და არმიელ მონადირეთა საზოგადოებას შეიძლება ვერ ვუსაყვედუროთ ინერტულობა: სწორედ მათი, სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული საქართველოს ნაკრები, რომელმაც შარშან ქვეყნის თასი და გუნდური ჩემპიონობა მოიპოვა მრგვალ სტენდზე სროლაში და სხვა შეჯიბრებებშიც გამოიჩინა თავი. მართალია, ბოლო წლებში „სპარტაკიც“ ამოქმედდა, მაგრამ იმისთვის, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე წარმატებას მივაღწიოთ, მეტია საჭირო. მთავარი მაინც ის გახლავთ, სასტენდო სროლა დაინერგოს მასობრივად. სპორტის ამ სახეობას, იმის გარდა, რომ თავისთავად საინტერესოა, გამოყენებითი მნიშვნელობაც აქვს.

იმასაც ვიტყოდი, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობაში სპორტის მასობრივ განვითარებას და ამაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს კომკავშირმა. მოგეხსენებათ, რომ ბევრი სკოლის, ტექნიკუმის, უმაღლესი სასწავლებლის, წარმოება-დაწესებულების, მშენებლობის, საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სათანადოდ არ ზრუნავენ ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებისთვის. კომკავშირელებს კი ბევრი რამ შეუძლიათ.

მჯერა, რომ საქართველოს კომკავშირის ყრილობაზე დაისახება ამოცანა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის სექტემბრის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებისთვის.

ჯ. ჯიმშელაძე.

# სპორტული ინფორმაცია

1 აპრილი, 1982 წ.

მე-4 გვ.

# ფეხბურთის ამბები

## საქართველოს სპორტსმენთა წარმატება



## კვლავ ოქროს მედალი

**ბაქოში** გაიმართა 1964-65 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა საკავშირო პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი ახალგაზრდა სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

87 კგ წონით კატეგორიაში შესანიშნავად იასპარეზა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა ზაურ ივანაშვილმა („კოლმეურნე", მწვრთნელები — გ. ჯოხაძე და ო. ბლიაძე). ქართველმა ფალავანმა ექვსივე მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხა და ოქროს მედალი მოიპოვა.

ზ. ივანაშვილმა პირველი სპორტული ნაბიჯები გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში გადადგა და მალე მიიქცია რესპუბლიკის, შემდეგ კი სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელთა ყურადღება. ზაურმა პირველ დიდ წარმატებას მიაღწია შარშან, როცა მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. პერსპექტიულმა მოჭიდავემ ბაქოს საკავშირო პირველობაზე კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ახლა ბადალი არა ჰყავს თანატოლთა შორის. ზ. ივანაშვილი სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ჩაირიცხა და წლეულს ივლისში ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატში მოუწევს გამოსვლა.

* * *

სურათზე: ზ. ივანაშვილი.

● ჭადრაკი

## ფინიშის სწორზე

**წყალტუბო, 31 მარტი (ტელეფონით).** ლენინური კომკავშირის სახელობის საჭადრაკო კლუბში გრძელდება საქართველოს ქალთა 38-ე ჩემპიონატის ნახევარფინალის შეხვედრები.

10 ტურის შემდეგ 8-8 ქულით ლიდერთა ჯგუფში არიან ნ. წკეპლაძე (ქუთაისი), ზ. ხვედელიძე (სამტრედია).

შეჯიბრება დაძაბული ორთაბრძოლებით დაიწყო. განსაკუთრებით გამძაფრდა იგი მეორე ნახევარში. სწორედ მაშინ დაზარალდა ერთ-ერთი ლიდერთაგანი — ოსტატობის კანდიდატი ფხაკაძე, რომელმაც ბოლო სამ ტურში მხოლოდ ნახევარი ქულა აიღო. უფრო შეუპოვრად იბრძოდა წკეპლაძე, წაგებას ვერც ის გადაურჩა, მაგრამ ლიდერობა მაინც შეინარჩუნა.

დიდი ოსტატობით თამაშობდა 9 წლის სოფიკო ტერელაძე, რომელმაც ბოლო შვიდ ტურში 6,5 (!) ქულა მოაგროვა.

რა თქმა უნდა, საგზურისთვის მთავარი ბრძოლა ჯერ წინაა — სათამაშო დარჩა კიდევ 7 ტური. დიდ ინტერესს იწვევს ლიდერთა შეხვედრები.

**თ. ხარლამიძე,**
ნახევარფინალის მთავარი მსაჯი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

## ნაკრები არგენტინაში მიემგზავრება

**სსრ კავშირის** ფეხბურთელთა ნაკრები 11 აპრილს მიემგზავრება არგენტინაში, სადაც უნდა გამართოს ამხანაგური საერთაშორისო მატჩები. პირველი შეხვედრა შედგება 14 აპრილს მსოფლიო ჩემპიონებთან, ხოლო მეორე — 17 აპრილს არგენტინის ერთ-ერთ საკლუბო გუნდთან.

როგორც ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კ. ბესკოვმა განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში, ესაა საბჭოთა ფეხბურთელთა მზადების ერთ-ერთი უმთავრესი ეტაპი მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

ჩვენს გუნდში შესაძლოა მოხდეს ცვლილებებიც, ვინაიდან ნაკრების კანდიდატები გამოდიან საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში, ხოლო თბილისის დინამოელებს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის პირველი ნახევარფინალური თამაში აქვთ ლიეჟის „სტანდარდთან" (ბელგია). ნაკრების უკეთ მომზადების მიზნით 29 აპრილისთვის გადაიტანეს სსრ კავშირის თასის ნახევარფინალური მატჩი კიევისა და თბილისის დინამოელთა შორის.

ტრავმების გამო ნაკრების შემადგენლობაში ახლა ვერ ემზადებიან ვ. ბესონოვი („დინამო", კიევი), ი. სუსლოპაროვი („ტორპედო", მოსკოვი), აგრეთვე, ს. ბოროვსკი („დინამო", კიევი). ნაკრებში არაა, აგრეთვე, მეკარე ვ. ნოვიკოვი (ცსკა), რომელიც ამ პერიოდში ახალგაზრდული გუნდის შემადგენლობაში ემზადება ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩებისთვის. ამას გარდა, ჩვენი ნაკრების ამასწინანდელი შეხვედრის წინ საბერძნეთის ნაკრებთან განზრახული გვქონდა კანდიდატთა სიაში შეგვეყვანა მოსკოვის არმიელი ვ. ხიდიატულინი, მაგრამ მან თვითვე დასაჯა საკუთარი თავი: მინდვრიდან გაძევებული ფეხბურთელი არაა ღირსი იმყოფებოდეს ნაკრების შემადგენლობაში. ვ. ხიდიატულინის შემდგომი ბედი თვით მასზეა დამოკიდებული.

სსრ კავშირის პირველი ნაკრების 18 ფეხბურთელს შორის არიან: **მეკარეები** — რინატ დასაევი („სპარტაკი", მოსკოვი), ვიქტორ ჩანოვი („დინამო", კიევი); **მცველები** — თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე და ნოდარ ხიზანიშვილი („დინამო", თბილისი), ანატოლი დემიანენკო, სერგეი ჟურავლიოვი და სერგეი ბალტაჩა („დინამო", კიევი); **ნახევარმცველები** — ლეონიდ ბურიაკი და ანდრეი ბალი („დინამო", კიევი), ხორენ ოჰანესიანი („არარატი", ერევანი), ფედორ ჩერენკოვი („სპარტაკი", მოსკოვი), ვიტალი დარასელია („დინამო", თბილისი), **თავდამსხმელები** — სერგეი ანდრეევი (ასკ, დონის როსტოვი), იური გავრილოვი („სპარტაკი" მოსკოვი), რამაზ შენგელია და დავით ყიფიანი („დინამო", თბილისი), ოლეგ ბლოხინი („დინამო", კიევი).

კ. ბესკოვმა აღნიშნა, რომ ნაკრების თითოეულ კანდიდატს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ წარსულის ყველა დამსახურება ახლა მხედველობაში არ მიიღება. ის ფეხბურთელი, რომელიც არ იბრძოლებს ასეთივე თავგანწირვით და ნებისყოფის დაძაბვით, როგორც ეს იყო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში, ვერ გაემგზავრება ჩემპიონატის ფინალში სათამაშოდ.

არგენტინაში მგზავრობის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრებს დაგეგმილი აქვს 3 ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, შვეციისა და ფინეთის გუნდებთან.

### ფილოლი არ ითამაშებს

არგენტინაში საბჭოთა ფეხბურთელთა მომავალ გამოსვლასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ის ამბავი, რომ მძიმედ ავად გახდა მსოფლიო ჩემპიონთა ძირითადი მეკარე ფილოლი. მეკარე დაშავდა ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში, იგი მიიყვანეს ექიმთან, რომელმაც დასვა დიაგნოზი: „ვირუსული ჰეპატიტი". ექიმმა ისიც განაცხადა, რომ სრული გამოკვლევა ჯერ არაა დამთავრებული და ფილოლის გამგზავრების საკითხი მსოფლიო ჩემპიონატზე ესპანეთში ერთობ საეჭვოა.

## ზოგი რამ შესაძლო მეტოქეთა შესახებ

**ჩვენი** გულშემატკივრები მოუთმენლად მოელიან თბილისის „დინამოსა" და ლიეჟის „სტანდარდის" შეხვედრას, მათ ამავე დროს აინტერესებთ მეორე ნახევარფინალური მატჩი ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურსა" და „ბარსელონას" შორის. ორივე ეს გუნდი ევროპულ ელიტას მიეკუთვნება, მრავალ საერთაშორისო ჯილდოს ფლობდა და იბრძვის ახალი გამარჯვებებისთვის.

### „ბარსელონა"

კლუბი დაარსდა 1899 წელს, თამაშობს „ნუოვო კამპის" სტადიონზე, რომელიც რეკონსტრუქციის შემდეგ 132.000 მაყურებელს იტევს.

„ბარსელონა" ესპანეთის ცხრაგზის ჩემპიონია (1929, 1945, 1948, 1949, 1952, 1953, 1959, 1960, 1974 წლებში) და თასის 18-გზის მფლობელი (1912, 1913, 1920, 1922, 1925, 1926, 1928, 1942, 1951, 1952, 1953, 1957, 1959, 1963, 1968, 1971, 1978, 1981 წლები). ესპანეთში უფრო მეტი მიღწევა მხოლოდ მადრიდის „რეალს" აქვს.

თვალსაჩინოა „ბარსელონას" წარმატებები საერთაშორისო ასპარეზზეც. 1961 წელს იგი ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალისტი იყო (წააგო ლისაბონის „ბენფიკასთან" — 2:3), 1969 წელს — თასების მფლობელთა თასის ფინალისტი (წააგო ბრატისლავის „სლოვანთან" — 2:3), 1979 წელს დაეუფლა თასების მფლობელთა თასს (დამატებით დროში დიუსელდორფის „ფორტუნას" სძლია—4:3), სამჯერ ფლობდა ე. წ. „საბაზრო ქალაქების" თასს (1958, 1960 და 1966 წლებში), ერთხელ კი ამ შეჯიბრების ფინალისტი იყო.

„ბარსელონას" წარმატებები ძირითადად დაკავშირებულია განთქმულ მწვრთნელ ელ. ერერას სახელთან. ეს პოპულარული პიროვნება ახლა „ბარსელონაში" მუშაობს გენერალურ დირექტორად, გუნდს კი დასავლეთგერმანელი სპეციალისტი უ. ლატეკი წვრთნის. წლეულს „ბარსელონა", ეტყობა, მეათედ მოიპოვებს ესპანეთის ჩემპიონობას, მან უკვე საგრძნობი განსხვავებით ჩამოიტოვა უახლოესი მეტოქეები „რეალ-სოსიედადი" (სან-სებასტიანი) და „რეალი" (მადრიდი).

თასების მფლობელთა თასის ახლანდელ გათამაშებაში „ბარსელონამ" სძლია პლოვდივის „ტრაკიას" — 4:1, 0:1, პრაღის „დუკლას" — 0:1, 4:0 და ლაიფციგის „ლოკომოტივს" — 3:0, 1:2.

„ბარსელონის" მდიდარმა მესვეურებმა მრავალი გამოჩენილი უცხოელი ვარსკვლავი შეიძინეს. არც თუ ისე დიდი ხნის წინ აქ თამაშობდნენ განთქმული ჰოლანდიელები კრუიფი, ნეესკენსი, ავსტრიელი კრანკლი, ახლა გუნდს ჰყავს ორი პირველხარისხოვანი უცხოელი ფეხბურთელი — დასავლეთგერმანელი ნახევარმცველი შუსტერი (ამჟამად არ თამაშობს ტრავმის გამო) და დანიელი თავდამსხმელი სიმონსენი. „ბარსელონა" უდავოდ გაძლიერდა ორი ბასკი ოსტატის — მეკარე არტოლასა და მცველ ალესანკოს გადმობირებით. ორი წლის წინ აქ ჩაირიცხა ცნობილი სნაიპერი კინი, რომელიც ადრე ხიხონის „სპორტინგში" გამოდიოდა, 1980-81 წლების ჩემპიონატში მან 19 ბურთი გაიტანა და ახლაც ლიდერობს სნაიპერთა შორის.

ჩემპიონატისა და ევროპული თასის გათამაშებაში მწვრთნელი უ. ლატეკი იყენებს შემდეგ მოთამაშეებს: მეკარეებს არტოლასა და ურუთიკოეჩეას (ოქმში მოკლედ წერენ ხოლმე — ურუთი), დაცვაში — ოლმოს, ალესანკოს, რამოსს, ესტელას, მიგუელის, გერარდის, შუა ხაზზე — შუსტერს, სანჩესს, მორატალას, ესტებანს, ვიქტორს, ლანდაბურუს, ზუვირიას, თავდასხმაში— სიმონსენს, კინის, მორანსა და კარასკოს.

ესპანეთის ეროვნული ნაკრების ბოლო შეკრებაზე მწვრთნელმა ხ. სანტამარიამ მიიწვია ალესანკო, გერარდი, ვიქტორი, სანჩესი, ესტებანი, კინი და მორანი.

სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ „ბარსელონას" პრეზიდენტმა მულტიმილიონერმა ნუნეზმა იყიდა ცნობილი სნაიპერი ალონსო (სარაგოსას „რეალიდან") და მარცხენა გარემარბი მარკოსი (მადრიდის „ატლეტიკოდან"). დებულების თანახმად, ისინი თასების მფლობელთა თასის ახლანდელ გათამაშებაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

### „ტოტენჰემ ჰოტსპური"

ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურს" წლეულს სახელოვანი იუბილე აქვს — დაარსებიდან 100 წელი უსრულდება. ასეთ დიდ ისტორიას ბევრი ვერ დაიტრაბახებს. „ტოტენჰემი" იყო ინგლისის ჩემპიონი (1951, 1961 წლები), ინგლისის თასის მფლობელი (1901, 1921, 1961, 1962, 1967, 1981 წ. წ.), ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1962 წელს). საინტერესოა, რომ ევროპულ ტურნირებში მრავალგზის მონაწილეობის მიუხედავად, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ლონდონელებს საკუთარ „უაიტ ჰართ ლეინის" სტადიონზე წაეგოთ (იტევს 62 ათას მაყურებელს).

1981-82 წლების სეზონი „ტოტენჰემმა" წარმატებით დაიწყო, გავიდა თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში და ინგლისის ჩემპიონობის მოპოვების შესაძლებლობასაც ინარჩუნებს.

ლონდონელები ახლოს იყვნენ ინგლისის ლიგის თასის მოპოვებასთანაც, გავიდნენ ამ პოპულარული შეჯიბრების ფინალში, რომელიც 13 მარტს გაიმართა ლონდონის „უემბლის" სტადიონზე. მატჩის დამთავრებას სულ 3 წუთი აკლდა, „ტოტენჰემი" კი წინ იყო „ლივერპულთან" 1:0 (ბურთი თამაშის დასაწყისში გაიტანა არჩიბალდმა). აქ, ეტყობა, ლონდონელები ცოტა ნაადრევად დამშვიდდნენ. გამართლდა ინგლისის ფეხბურთის გულშემატკივართა ცნობილი სიტყვები: „სანამ თამაში არ დამთავრებულა, ნურავინ იტყვის, რომ დაამარცხა „ლივერპული". მართლაც, ანგარიში გათანაბრდა, ხოლო დამატებით დროში „ლივერპულმა" გაიმარჯვა — 3:1 და ლიგის თასსაც დაეუფლა.

თასების მფლობელთა თასის ახლანდელ გათამაშებაში ლონდონელებმა სძლიეს ამსტერდამის „აიაქსს" (3:1, 3:0), ირლანდიის „დანდალკს" (1:1, 1:0) და მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტს" (2:0, 1:2).

„ტოტენჰემის" ბოლო წლების წარმატებები დაკავშირებულია რამდენიმე გამოჩენილი ფეხბურთელის მოწვევასთან. ესენია შესანიშნავი არგენტინელი ოსტატები არდილესი და ვილა, შოტლანდიის ნაკრების ფორვარდი არჩიბალდი. შარშან აგვისტოდან მათ დაემატა ინგლისის ნაკრების მეკარე კლემენსიც.

მოგვყავს „ტოტენჰემის" საბრძოლო შემადგენლობა „აინტრაჰტთან" მეოთხედფინალურ მატჩებში. გუნდმა ლონდონში ითამაშა ასეთი შემადგენლობით: კლემენსი, პერიმენი, მილერი, პრაიჩი, ჰაჭტონი, არდილესი, ჰოდლი, გალვინი, კროქსი (ფალკო), ჰაზარდი, არჩიბალდი.

საპასუხო მატჩში ლონდონელებმა ასე ითამაშეს: კლემენსი, პერიმენი, მილერი, პრაიჩი, ჰაჯტონი, ჰოდლი, გალვინი, ჰაზარდი, არდილესი (რობერტსი), არჩიბალდი, ფალკო (ვილა). ამ მატჩის 27-ე წუთზე დაშავდა არდილესი, რამაც საგრძნობლად იმოქმედა გუნდის თამაშზე. ჰოდლის დიდებულმა გოლმა 18 მეტრის მანძილიდან (ამ მომენტში ინგლისელები აგებდნენ — 0:2) „ტოტენჰემი" გაიყვანა ნახევარფინალში.

**გ. თხინვალელი.**

# უმაღლესი ლიგა

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს ფეხბურთში სსრ კავშირის 45-ე ჩემპიონატის II ტურის სტატისტიკური მონაცემები.

**„დინამო" კ. — „არარატი" 4:0 (3:0).** ბალმა და ევტუშენკომ (ორჯერ) პირველ ტაიმშივე დააწიოკეს კიეველები. მატჩის დასასრულს დემიანენკომ მეოთხედ აიღო „არარატის" კარი.

დუბლიორები — 4:1.

**„კუბანი" — „ნეფთჩი" 3:1 (1:0).** კრასნოდარელთაგან ბურთები გაიტანეს პლოშნიკმა, ანდრეიჩენკომ და ლაგოიდამ (პენალტი), ხოლო „ნეფთჩის" მხრივ —ჯავადოვმა.

გააფრთხილეს ბაქოელი აზიმოვი, აგრეთვე, „კუბანის" მოთამაშეები კოლესოვი და კობზევი.

დუბლიორები — 1:0.

**„დინამო" მნ. — „სპარტაკი" 1:0 (1:0).** ერთადერთი ბურთი სპარტაკელთა კარში მე-20 წუთზე გაიტანა ზიგმანტოვიჩმა.

გააფრთხილეს მინსკელი ვასილევსკი.

დუბლიორები — 2:0.

**„ზენიტი" — „დინამო" მ. 2:0 (0:0).** ეს მატჩიც ლენინგრადის სპორტულ-საკონცერტო კომპლექსის დარბაზში გაიმართა. მოსკოველთა კარში ბურთები გაიტანეს ჩუხლოვმა და კლემენტიევმა.

დუბლიორები — 2:1.

**„ტორპედო" მ. — „ქაირათი" 1:1 (0:0).** ბურთები გაიტანეს ტორპედოელმა პოლუკაროვმა და ალმაათელმა გლადილინმა.

გააფრთხილეს „ქაირათის" მოთამაშე ნიკიტენკო.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ა. მილჩენკო, გ. გაბისკირია (ორივე — სოხუმი), მ. კობიაშვილი (გორი).

დუბლიორები — 1:0.

**ცსკა — „ფახთაქორი" 0:1 (0:1).** არმიელებმა კვლავ ლვოვის სტადიონზე მიიღეს მეტოქე. ერთადერთი გოლი ტაშკენტელმა ნოვიკოვმა გაიტანა მე-11 წუთზე.

გააფრთხილეს ტარანი (ცსკა) და სემენკო („ფახთაქორი").

დუბლიორთა მატჩი არ შემდგარა.

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
უე-08181